

# სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის ისტორიიდან ქუთაისის გუბერნიაში

*შენგელია მამუკა – პროფესორი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## **From the History of the Court Organization and the Process in Kutaisi Province**

*Shengelia Mamuka – Professor, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### **Abstract**

**Introduction and aim:** The present article analyzes the judicial reform of the Russian Empire and Kutaisi province, which was part of this empire, in the 60s of the 19th century, in particular the peculiarities of the judicial organization and the process with its negative consequences on consciousness of the local inhabitants and the development of law. Based on specific facts, there is mentioned the failures of the “unauthorized” law based on foreign language and “untalented translators”, including the “Juror Institute” and the principle of judges' choice. The article contains critical letters of Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Niko Nikoladze and other famous Georgian written in Georgian magazines and newspapers about the activities of Russian officials who have lack awareness of Georgian customs and morality. In these letters, they demanded the alteration of the bureaucracy, establishment of the principle judges' election, introduction of Jurors Institute and doing justice affairs in the local language. The article also explains the terms used in the decisions of the Kutaisi District Court.

**Research methodology:** Used methods are methods of analysis, historical and comparison.

**Results and implications:** The article has a study-methodical meaning.

**Conclusion:** The Russian jurisdiction of its bureaucratic structure has been virtually cut off from reality, from the protection of the interests of the locals. The "truth" and confidence of using the fraudulent evidences of the courageous courts of the courts have significantly degraded the existing legal proceedings and their reputation.

**Keywords:** Judicial reform, jurors institute, election of judges, Kutaisi District Court, participants of the trial, decision, attorney.

### **აბსტრაქტი**

**შესავალი და კვლევის მიზანი:** წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში და მის შემადგენელ ქუთაისის გუბერნიაში გატარებული სასამართლო რეფორმა, კერძოდ, სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის თავისებურებანი ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობიერებაზე და სამართალგანვითარებაზე ასახული თავისი უარყოფითი შედეგით. კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით მითითებულია, უცხო ენაზე დამკვიდრებული და „უნიჭო თარჯიმნებზე“ დაფუძნებული „უავტორიტეტო“ მართლმსაჯულების ნაკლოვანებები, მათ შორის, „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“-ს და მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპის ჩათვლით. სტატიაში მრავლად მოიპოვება ქართული ადათ-წესების და ზნე-ჩვეულებების უცოდინარი რუსი მოხელეების საქმიანობის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სხვა ქართველი მოღვაწეების კრიტიკული წერილები, რომლებშიც მოითხოვდნენ ბიუროკრატის ალაგმვას, მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპის დაწესებას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას და მართლმსაჯულების ადგილობრივ ენაზე წარმოებას. სტატიაში, ასევე, ახსნილია ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობაც.

**კვლევის მეთოლოგია:** სტატიაში გამოყენებულია შედარებითი-სამართლებრივი მეთოდი, ისტორიული და ლოგიკური ერთიანობის პრინციპი.

**შედეგები და იმპლიკაციები:** სტატია აქვს სასწავლო-მეთოდური მნიშვნელობა.

**დასკვნა:** თავისი ბიუროკრატიული სტრუქტურით არსებული რუსული მართლმსაჯულება, არსებითად მოწყვეტილი აღმოჩნდა რეალობისაგან, ადგილობრივთა ინტერესების დაცვისაგან. გაყალბებული მტკიცებულებების გამოყენებით მიღებული „ჭეშმარიტება“ და ნდობა დაკარგული სასამართლოს უღირსი მოხელეების საქმიანობა, მნიშვნელოვნად აკნინებდა არსებულ სამართალწარმოებას, მის რეპუტაციას.

**საკვანძო სიტყვა:** სასამართლო რეფორმა, ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტი, მოსამართლეთა არჩევა, ქუთაისის საოლქო სასამართლო, სასამართლო პროცესის მონაწილეები, გადაწყვეტილება, ადვოკატი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში და იურიდიულ მეცნიერებაში დადასტურებული რეალობის და საყოველთაოდ აღიარებული, განმტკიცებული აზრის თანახმად, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფისა და სრული ანექსიის შემდეგ, საქართველო, ხან საქართველოს გუბერნიად იწოდებოდა, ხან საქართველო-იმერეთის გუბერნიად. 1864 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველო-იმერეთის გუბერნია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით ჩამოყალიბდა. რუსეთის იმპერიაში განხორციელებული სხვადასხვა რეფორმების კვალობაზე, წყაროებში ასევე მიუთითებენ, რომ 1866 წლის 22 ნოემბერს იმპერატორმა ალექსანდრე II დაამტკიცა დებულება 1864 წ. 20 ნოემბრის იმ სასამართლო წესდებათა გავრცელების შესახებ ე.წ. ამიერკავკასიის მხარეზე, რომელთა საფუძველზეც გატარდა სასამართლო რეფორმა რუსეთის შიდა გუბერნიებში.<sup>1</sup> გატარებული რეფორმის საფუძველზე, ამიერკავკასიის მხარეში ახალ სასამართლო დაწესებულებებს შეადგენდნენ: მომრიგებელი მოსამართლეები თავიანთი განყოფილებით ყოველ მაზრაში, საოლქო სასამართლოები – თითოეული გუბერნიისათვის და სასამართლო პალატა მთელი მხარისათვის. ქუთაისის სასამართლო ოლქს შეადგენდა: ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრები. ამას გარდა, ქუთაისის საოლქო სამსჯავროს იურისდიქციას უნდა დაქვემდებარებოდა სვანეთის საბოქაულო და ქალაქი ფოთი.

საოლქო სასამართლოებში, უპირველესად, მომრიგებელ მოსამართლეებზე შეტანილი საჩივრები განიხილებოდა. აქვე შეიქმნა სანოტარო ნაწილიც. საკასაციო სასამართლოდ მთელი კავკასიისათვის პალატა ითვლებოდა, ხოლო პალატის გადაწყვეტილება განსახილველად გადაჰქონდათ პეტერბურგში, იმპერიის სენატის საკასაციო დეპარტამენტში.

1868 წლის 10 თებერვალს თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორებს (ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ლევაშოვმა ასეთი განკარგულება 49-ე ნომრით მიიღო) გაეგზავნათ მეფისნაცვალ მიხეილის წერილობითი განკარგულება – ცირკულარი, როგორც მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს და ხელქვეით თანამდებობის პირებს, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ ახალ სასამართლო დაწესებულებათა გახსნის დღედ დანიშნა 19 თებერვალი: “(...) მისმა იმპერატორების დიდებულებამ 1867 წელს 9 თებერვალს მმართველის სენატისადმი მიცემულის სახელდებულის უქაზებითა, დაამტკიცა რა ჩემი მოსაზრებანი გასამგეო, სასამართლო და სამიჯნავო ნაწილთა ახალ

<sup>1</sup> ჟვანია ზ., ბურჟუაზიული რეფორმების ისტორიისათვის საქართველოში. სასამართლო რეფორმა // ჟურნალი “საისტორიო მოამბე”, თბ., 1974, გვ. 144.

დაწესებულებაზე კავკასიის აქეთა მხარეში, აგრეთვე, გასამგეო და სასამართლო ნაწილისა სტავროპოლის გუბერნიაში, უმაღლესად ბრძანება გასცა: ამ ნაწილებზე გამოცემულნი სჯულდებანი შეიყვანონ მოქმედებაში 1868 წლის 1-ლს იანვრიდგან (...) განვიხილე რა წარმოდგენილნი ცნობანი, მე შესაძლოთ შევრაცხე, რომ მოქმედებაში შეყვანილ იყოს უმაღლესად დამტკიცებულნი სჯულდებანი ჩემდამი რწმუნებულის მხარის გადაკეთებაზე ამა წლის 19 თებერვლიდან განსაკუთრებით მიცემულის ინსტრუქციების და თანამდებობათა დარიგების ძალით (...).”<sup>2</sup> მეფისნაცვალი ახალი სამოსამართლო დაწესებულებების 19 თებერვალს გახსნას უკავშირებდა ყველასათვის უსაყვარლესი მონარქის, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II ტახტზე ასვლის დღეს. მცირე ცვლილებებით ანალოგიური განკარგულებები გაუფზავნიათ საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებისთვისაც, რომლის თანახმად, 19 თებერვლიდან გაუქმებულად ცხადდებოდა ძველი სამსჯავრო დაწესებულებები, აგრეთვე, მეფისნაცვალი მიხეილი აუცილებელ პირობად ითვალისწინებდა ხალხისათვის ჩაენერგათ ნდობა ახალი სამართლისადმი.

1868 წლის 19 თებერვალს, როგორც გუბერნიის ცენტრში, ახალი სასამართლო დაწესებულება გაუხსნიათ ქუთაისშიც. აღნიშნულის შესახებ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ გენერალ-მაიორ ლევაშოვს, იმავე დღესვე მოუხსენებია კავკასიის მეფისნაცვლის გენერალ-ფელდცეხმეისტერ მიხეილისათვის, ლევაშოვი აღნიშნავდა, რომ “სობოროში წირვის შემდეგ ცერემონიით გაიხსნა ახალი დაწესებული ადმინისტრაციული და სასამართლო ადგილები ხალხის კრების თანასწრებითა და თანაგრძნობითა. თავად-აზნაურობა თავის წარმომადგენელთა პიროვნობით და ქუთაისის მოქალაქენი ითხოვდნენ ჩემს შუამავლობას თქვენის უმაღლესობის წინაშე, რათა წარდგენილიყვეს კვარცხლბეკთა მისის იმპერატორის დიდებულებისათა უქვეშევრდომესი გრძნობის გამოთქმა და უსაზღვრო მათი მადლობა ახალს ცვლილებათა მონიჭებისათვის, რომელიც დღეს შემოვიდა მამობრივის ზრუნვითა თქვენის უმაღლესობითა.”<sup>3</sup> ლევაშოვს, მეორე დღეს, 20 თებერვალს, კონკრეტული ფაქტების მოყვანით ახალ შეტყობინება გაუფზავნია “კავკასიის ნამესტნიკისათვის”, რომ ქუთაისში, ახალი დაწესებულებების გახსნისათვის შეკრებილი ყოფილა უამრავი ხალხი მთელი დასავლეთ საქართველოდან, მათთვის სიტყვით პირველად მიუმართავს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და შეუხსენებია, რომ ყოველი ადამიანის გასამართლების დროს მსაჯულები პასუხისმგებელნი არიან ღმერთის წინაშე. ლევაშოვს გუბერნიის ახალი სასამართლოს თავმჯდომარის დასახელების შემდეგ, საოლქო დაწესებულება გახსნილად გამოუცხადებია.<sup>4</sup> სიტყვით გამოსულა სასამართლოს თავმჯდომარეც. შეტყობინების ბოლოს სამხედრო გუბერნატორი უღრმეს მადლობას სწირავს ღმერთს და იმპერატორს, ასეთი დაწესებულებების გახსნისათვის.

**ქართველი** ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრე ფრონელი 1893 წ. 28 თებერვლის “ივერიის” ფურცლებზე წერდა: “დიდის ამბით იდღესასწაულეს თურმე ქუთაისში ახალის სასამართლოს შემოღება. ჩვენმა მხცოვანმა მღვდელ-მთავარმა გაბრიელმა წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც მიმართა ახალმსაჯულთ და მოაგონა, რომ სიტყვიერებასა და საჯარო მართლმსაჯულებას ქართველი ერი დიდის ხნიდან მიჩვეულია, ეგ იმისათვის ახალს არას

<sup>2</sup> გაზეთი “დროება”, 1868 წ., №8, გვ.1.

<sup>3</sup> გაზეთი “დროება”, 1869 წ., №9, გვ.1.

<sup>4</sup> ქუთაისის საოლქო სასამართლოს შემადგენლობაში თავმჯდომარის გარდა შედიოდნენ: თავმჯდომარის ამხანაგი და სასამართლოს წევრები. სასამართლოს გააჩნდა აგრეთვე მდივნების, მათი თანაშემწეების, სასამართლოს ბოქაულებისა და თარჯიმნების შტატი. პროკურორის, მისი ორი ამხანაგისა და მდივნის ჩათვლით. სასამართლოსათვის წელიწადში გამოყოფილი იყო 44 500 მანეთი.

წარმოადგენს, ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, შეეფერება მის ზნესა და ჩვეულებასო. სწორედ საჭირო იყო ასეთი გახსენება საქმის ვითარებისა. თანამშრომელნი და თანამოღვაწენი დიდის მთავრისა და ბევრნიც სხვანი დიდად შიშობდნენ თურმე, ქართველი ერი მომზადებული არ არის, ვერ შეიგნებს, ვერ შეითვისებს ახალის სამართლის სიკეთესაო. ასე შეუძლიან ლაპარაკი მხოლოდ იმას, ვისაც ჩვენის წარსულის ცოდნა ნაკლებადა აქვს, ვისაც ხალხთან საქმე არა ჰქონია და მამასადამე, არც იცის ზედმიწევნით, როგორ უცემს მაჯა, რა უყვარს და რა ეჯავრება.” შემდეგ ავტორი საზოგადოებას მოაგონებს ქართული სამართლის ისტორიის პატარა მონაკვეთს: “მართლმსაჯულება ჩვენში მეტად მარტივი და უბრალო ყოფილა წინად, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს. დიდსა და მძიმე საქმეებს თვით მეფე ასამართლებდა, მცირეს – მისი სანდო კაცნი, მდივნები და ბჭენი. პირველი მთავარ-მართველი საქართველოსი თავადი პ.დ. ციციანოვი დიდად ჰკვირობდა, რად უფროსიან ქართველები ჩემს დაწესებულ მოსამართლე-მოხელეებს, რად ერიდებიან მათ სამართალს და ყველა მომჩივანი მე რად მეტანებაო – აქ საკვირველი არა არის რა. მაშინდელ საქართველოს მოხელენი იყვნენ რუსნი და “ინჩი” ქართული არ იცოდნენ, ვისაც – კი მიჰმართავდნენ მომჩივანნი, თითქოს ყველა გაიძახოდა, ეგ ჩემი საქმე არ არის, მიჰმართე სხვასო. ამასობაში დრო გადიოდა და ხალხი სამართალს ვერ პოულობდა.” აღ. ფრონელი წარსულის გახსენების შემდეგ ისევ ახალ სასამართლო რეფორმას უბრუნდება: “დიად, დიდის სიხარულით და იმედებით აღსავსე მიეგება ქართველი ერი ახალს სამართალს, მაგრამ სამწუხაროდ, მალე მის სიხარულს ფრთები შეეკვეცა. პირველი ესაა, რომ ბჭობა ახალს სასამართლოში გაუგებარ ენაზე იყო (...), ჩვენმა ერმა ვერ შეიყვარა ისე ახალი სამართალი, როგორც რუსებმა შეიყვარეს, ახალ სამართალსა და ხალხის გულს შორის ვერ გაება მაფი, ვერ დამყარდა მტკიცე კავშირი, ხოლო უამისოდ სამართალი ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს და პატივსიცემას ვერ დაიმსახურებს. მთელი მართლმსაჯულება ჩვენში დაფუძნდა უხეირო, უნიჭო, განუვითარებელ თარჯიმნებზედ (...), საქართველოს არ მოენიჭა ერთი უდიდესი ორგანული ნაწილი ახალის სასამართლო წეს-წყობილებისა – ნაფიცთა მსაჯულების ინსტიტუტი, მსაჯულთა ამორჩევის უფლება. ახალი სამართალი ბოლო მოჰჩრილ კაჭკაქს უფრო ჰგავს, ვიდრე ტურფა იადონს.”

სასამართლო რეფორმის გატარების შედეგად, ძველი წოდებრივი დაწესებულებების ნაცვლად შეიქმნა ყველა ფენისათვის საერთო სასამართლო. წინანდელი სასამართლო მთლიანად მთავრობის პოლიტიკურ-ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ხელში იყო, თავად მოსამართლესაც მთავრობა ნიშნავდა, ხოლო საქმის გამოძიება-განხილვა საიდუმლოდ მიმდინარეობდა და ჭიანურდებოდა ინსტანციების სიმრავლის გამო, ზოგიერთი საქმის გარჩევა კი, რამდენიმე წელსაც გრძელდებოდა. სასამართლო პროცესი, როგორც ასეთი, უმეტესწილად, არც იმართებოდა. მომჩივანი და მოპასუხე საპყრობილესა და საკუთარ სახლში ელოდებოდნენ სასამართლოს დადგენილებას. სისხლის საქმეთა გარჩევის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფორმალური მხარის დაცვას. ბრალდებული მხოლოდ მაშინ უნდა დასჯილიყო, როცა გამოტყდებოდა. დანაშაულში ან საქმეში დაცული საბუთები ცხადყოფდნენ მის დანაშაულს. ასეთი წესი საშუალებას აძლევდა აშკარა დამნაშავეებს, ხშირად დაუსჯელი დარჩენილიყვნენ, ზოგი უდანაშაულო კი, რომელიმე საბუთის წყალობით სამუდამოდ ეჭვქვეშ რჩებოდა.<sup>5</sup> ახალ სასამართლოს თავიდანვე აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ საქმის წარმოება ხალხისათვის გაუგებარ, მოსახლეობის უმრავლესობისათვის უცხო ენაზე მიმდინარეობდა, ასევე, რუსი მოხელეები არ იცნობდნენ ქართულ ადათ-წესებს და ზნე-ჩვეულებებს. მეფის მთავრობის

<sup>5</sup> ბენდიანიშვილი ა., სასამართლო რეფორმა // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V, გამომც. “მეცნიერება”, თბ., 1970, გვ. 312.

კავკასიური ადმინისტრაციისა და სასამართლო დაწესებულებების საქმიანობის, შესახებ ჟურნალ-გაზეთებში კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა ქართველი მოღვაწეები. ისინი მოითხოვდნენ ბიუროკრატის ალაგმვას, მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპის დაწესებას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას, მართლმსაჯულების ადგილობრივ ენაზე წარმოებას.

ილია ჭავჭავაძემ მართლმსაჯულების მართებულად განხორციელების, ხალხის ადათ-წესების პატივისცემის და ქართულ ენაზე სასამართლოში საქმის წარმოებისათვის ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ის ვერ შეგუებია საქართველოში რუსული კანონების გავრცელებას. ილიას აზრით, ხალხის განსასჯელი კანონები ხალხისვე წარსულიდან უნდა მომდინარეობდეს და “ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან.”<sup>6</sup> ყოვლად გამორიცხულია, რომ მოსამართლეს მომჩივანის ენა არ ესმოდეს და საქმეს ისე იხილავდეს თარჯიმნების დახმარებით, რომლებიც ჭეშმარიტებისაგან შორს არიან. “მოსამართლე და მომჩივანი, რომელთაც ერთმანეთის ენა არ ესმით, ერთმანეთისათვის მუნჯებიც არიან და ყრუებიცა (...), ამათი ერთად შეყრა სწორედ იმას ჰგავს, რომ მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამილეო (...).”<sup>7</sup> საქართველოში ახალ სასამართლო დებულებათა გატარების შესახებ სავსებით მართებულად შენიშნავდა ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი): “როდესაც ხალხს ახალი წესდებულება არ მოსწონს, რომელიმე რეფორმას თაყვანს არ სცემს, მუდამ აწმყოს თვალს არიდებს, წარსულს შესცქერის და იგონებს, მაშინ უთუოდ ან ახალი წესდებულება არ ვარგა, ახალი რეფორმა უხეიროა, ან არადა რეფორმა კარგია, მაგრამ ის დაუმახინჯებიათ, ფრთები შეუჭრიათ და ხალხის ცხოვრებაში ისე დაუარსებიათ.”<sup>8</sup>

პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწეების აზრს არსებითად იზიარებდა აკაკი წერეთელიც. მისი შეხედულებით, შიდა რუსეთის გუბერნიებისაგან განსხვავებით, საქართველოში გატარებულ სასამართლო რეფორმას გამოაცალეს ყოველგვარი პროგრესული – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, მოსამართლეთა არჩევითობა, საქმის ადგილობრივ ენაზე წარმოება. სამართალწარმოების ძირითად ხელშემშლელ გარემოებად თვლიდა თარჯიმნების მონაწილეობას სასამართლო პროცესში, რომლებიც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის და ზოგჯერ მოსამართლეთა მიერ დანაშაულებრივი შეცდომების დაშვების საფუძველი ხდებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მგოსანი აღუშფოთებია საქართველოში ცრუ მოწმობის გაჩენასაც. თუ მანამდე საქართველოში გამოსაჩენ ადგილას იყო მოთავსებული სახარება, ჯვარი და მოწმებესაც მათზე აფიცებდნენ იმისათვის, რომ სასამართლოსათვის სრული სიმართლე ეთქვათ და ჭეშმარიტების საზომით წარმართულიყო პროცესი, ამ პერიოდის სასამართლო ხასიათის პუბლიკაციებსა და დოკუმენტებში სხვა სურათს ვხედავთ. ქუთაისის სასამართლო ოლქში შემავალ შორაპნის მაზრაში მოწმეებს აფიცებდნენ არა ისე, როგორც ძველად, არამედ “აქ უპოვიათ სადღაც ერთი დამტვრეული და გაშავებული ჯვარი, ერთიც დაგლეჯილი ძველი სახარება, რომელსაც სულ ნახევრობით ფურცლები აკლია და ერთი არა შესაფერისი ოლარიც უნახავთ. მოუნდათ ვთქვათ მოწმეების დაფიცება, შეიქმნება ერთი ძებნა ამ ჯვარისა და სახარებისა, ხან უეზდის სასამართლოს შკაფიდან გამოიღებენ, სადაც ქალაქდებთან ერთად იქნება

<sup>6</sup> მეტრეველი ვ. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თსუ-ს გამომც., თბ., 1977, გვ. 128.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>8</sup> ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., რჩეული იურიდიული ნაწერები, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1982, გვ. 18.

შეტენილი, ხან საღაცა ისევ სასამართლოს საქმეებშივე მოძებნიან და ასე მოიყვანებენ ფიცზე მოწმეებს (...). ჩვენებურ ხალხს ჯერეთ “რუსული ფიცის” ბევრი არ ეშინიან და მერე ხედავს, რომ ჯვარი გატეხილია, სახარება დაგლეჯილი და არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ამგვარ ფიცს.” ყოველივე ამის გამო თურმე ხშირად ეუბნებოდნენ სასამართლოში დაბარებული მოწმეები ერთმანეთს: ”ნუ გეშინიან, ბიჭო, ხატზე კი არ დაგაფიცებენ ჩვენებურად, დაგაფიცებენ ერთ დახეულ სახარებაზე და დამტვრეულ ჯვარზე. იმისთანა სახარებაზე და ჯვარზე ათასჯერ რომ დავიფიცო, ის მე ვერას მიზამს.”<sup>9</sup> მსგავსი დაუდევრობა და საქმისადმი არაკეთილსინდისიერი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება “მართალი მხარის დალუპვას” იწვევდა. რუსული ბიუროკრატიზმი და ჩინოვნიკური სული დაბუდებულიყო არა მარტო სხვა დაწესებულებებში, არამედ სასამართლოშიც, სადაც ზოგჯერ განგებ აგვიანებდნენ ან აჭიანურებდნენ დაწყებულ საქმეებს, “ჩვენში ფიცი წინეთ სულ სხვაგვარი იყო და ამიტომაც ეძახიან ახლანდელ ფიცს “რუსულ ფიცს”. ამისთვის, რომ ჩვენში ეს ფიცი რუსების შემოსვლის შემდეგ არის მდებარე ხალხში მიღებული.”<sup>10</sup> სასამართლო საქმის წარმოების ახლებურად დანერგვას ბევრი დაბრკოლება ახლდა. იგი ძირითადად დამყარებული იყო ამ დაწესებულებებში მომუშავე ჩინოვნიკთა პიროვნულ პოლიტიკაზე, თავიანთ შეხედულებებისამებრ საქმის წარმართვაზე, უამრავ ბიუროკრატიულ ბარიერზე, არასამართლებრივ აზროვნებაზე. ზოგიერთი რუსი მოსამართლე მიღებული უკანონო დადგენილებით, არა მარტო ახალ კანონმდებლობას უტეხდა სახელს, არამედ ახალი “სამართლის” შემდგენელ რუსულ მთავრობასაც. “რამდენიმე გამოჩენილ პროცესის დროს დამტკიცდა, რომ ჩვენში ისეთი თარჯიმნებიც კი არ მოიპოვებინ ერთი ენიდამ მეორეზე გადასათარგმნელად, რომელათაც უბრალო მოწმის ჩვენების ხეირიანად რუსულად გადათარგმნა შეეძლოს. თუ ქუთაისში და თბილისში არ იშოვებინ ხეირიანი მთარგმნელები, მიყრუებულ ადგილებზე რაღა უნდა ვსთქვათ?”<sup>11</sup>

რუსეთიდან ჩამოსული მოხელეების აუცილებელ გასათვალისწინებელ საკითხად რჩებოდა ადგილობრივი ჩვეულებების ცოდნა, რასაც საპროცესო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. “თვით კანონების მიმართულებას რომ თავი დავანებოთ და ზოგიერთი დანაშაულის განხილვას მივმართოთ, ისეთ უვარგისობას შევეტაკებით, რომ ძნელია წარმოსადგენად. მაგ. აიღეთ ის მუხლნი, სადაც არიან ჩამოთვლილნი დაჭრილობა, დამახინჯება, სიკვდილი დაჭრილობის მიღების გამო და სხვადასხვა. როდესაც საქმე მივარდება ხოლმე განაჩენის დადგენაზე, საცოდავ მსაჯულებს თავგზა დაეკარგებათ და არ იციან როგორ გადაწყვიტონ საქმე. მომრიგებელ მოსამართლეს და ოლქის სამსაჯულოს ვინ იტყვის, სენატსაც ვერ გაუკვლევა გზა და ხან ასე სჯის, ხან ისე. ამის დამამტკიცებელი ფაქტები არა ერთი და ორი მოიპოვებინ.”<sup>12</sup> “უმეცარი მთარგმნელთა” შედეგზე ერთ-ერთ რუსულ გაზეთს ასეთი მაგალითი მოჰყავს: “ვთქვათ ქართველი წაეჩხუბა ვინმეს და ადგილობრივი ჩვეულებისამებრ “ურჯულო” და “უღვთო” უწოდა, ეს სიტყვები უმეცარი თარჯიმნის სიტყვა-სიტყვითი თარგმნის წყალობით ღვთის გმობა გამოდის და ბრალდებული, რომელიც პირად შეურაცხყოფისათვის მცირედ უნდა დასჯილიყო, ციმბირში იგზავნება.”<sup>13</sup>

<sup>9</sup> გაზეთი “დროება”, 1877 წ., №57, გვ. 2-3.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> გაზეთი “დროება”, 1880 წ., №158, გვ. 1-2.

<sup>12</sup> ხიზანაშვილი (ურბნელი) ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 98.

<sup>13</sup> ბენდიანიშვილი ა., სასამართლო რეფორმა // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გამომც. “მეცნიერება”, თბ., 1970, გვ. 315.

არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სუფევდა ადვოკატთა მოუქნელი პროფესიული საქმიანობის გამოც, რომელთაც მძარცველ-მატყუარების სახელი ჰქონდათ დამკვიდრებული უბრალო ხალხში, “ხუთი მაზრის სამსაჯულოც რომ დაწესდეს ქუთაისში და ხუთ-ხუთი მომრიგებელი სამსაჯულო თითო უეზდში, ისინი ვერ აუვლენ მათგან ადენილს ალიაქოსს და ვეღარ მოაბრუნებენ ჩვენს დასაწყლებულს ხალხს.”<sup>14</sup> სასამართლო პროცესზე ადვოკატის პოზიცია შეზღუდული იყო, თუ ბრალდების მხარე გარკვეულ გასამრჯელოს არ გადაიხდიდა და თვითონაც არ გამოიღებდა თავს სამართლის საწადელის მიღწევით. ადგილობრივები, რუსული კანონმდებლობის და სამართლის წარმოების მრავალრიცხოვანი ფორმალობების არცოდნის გამო “ადვოკატთა და მრჩეველთა პირდაპირ უმწეო მსხვერპლად ხდებიან. ზოგიერთი ვეჭილის დაუსჯელობამ იქამდე მიგვიყვანა საქმე, რომ ახლა ისინი არზებს წერენ სამოსამართლო დაწესებულებების დერეფნებსა და კიბეებზე. ხშირად თვით კლიენტთა ზურგზე, რომელთაც სასამართლოს შესასვლელში ეპატიჟებიან და იჭერენ, როგორც ქარვასლის ნოქრები.”<sup>15</sup> გაზეთ „დროება“-ში ვკითხულობთ, რომ ადვოკატობა იმ პერიოდში ზოგიერთებისათვის საარსებო საშუალებაც გამხდარა, ზოგიერთს სხვა თანამდებობა დაუტოვებია და ვეჭილობისათვის მოუკიდებია ხელი. “ქუთაისში და განსაკუთრებით უეზდის მიყრუებულ ქალაქებში ისეთმა პირებმა დაიწყეს ადვოკატობა, რომელთაც, არა თუ სამოსამართლო წესდებულებისა და საზოგადოდ კანონებისა არა გაეგებათ რა, რუსული ენაც სრულებით არ იციან. ყველგან სადაც არ გაიხედავთ მომრიგებელ და ოლქის სასამართლოების წინ დგანან კაკარდიანი და უკაკარდო, ჩოხიანი და სერთუკიანი კაცები სამოსამართლო წესდებულებით ხელში, შეუგროვებიათ ხალხი და რაღაცას გაცხარებით ქადაგებენ.”<sup>16</sup> სტატიის ავტორი შემდეგ შენიშნავს, რომ განსხვავებით ჩვენგან, ევროპაში ადვოკატებს სულ სხვა ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში და სხვა მოვალეობაც აკისრიათ. ისინი არიან სამართლიანობისა და პატიოსნების გამაგრცელებელი და არცერთი მათგანი არ მოჰკიდებს ფულისათვის ისეთ საქმეს ხელს, თუ თვითონვე არ არის დარწმუნებული საქმის სიმართლეში. ჩვენთან კი “მგონი ორ-სამ ადვოკატს ვერ ნახავთ, რომ რაც გინდა უსვინდისო და უკანონო საქმე მიუტანო, თუკი ფულეზსაც მიაყოლებთ ზედ, არ აიღოს და არ დაგაიმედოს, რომ ამის მოგება ძალიან ადვილათ შეიძლებაო(...).”<sup>17</sup>

თავის პუბლიკაციებში ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს, საერთოდ, ადვოკატებზე და მათ შორის ქუთაისელ სასამართლოს მოხელეებზე თავისი შეხედულება გააჩნია და იუმორით წერს: “დღეს ვიციანოთ, ვიციანოთ ჯერ ინგლისის პარლამენტის ბრძენ წევრებზე, რომელთაც ამ 10 დღის წინ გადაწყვეტილება მიუღიათ – ევროპაში მედიატორების სასამართლო დაარსდეს სახელმწიფოებს შუა დავის გასარჩევათო. იმის ეჭვი მე სიზმარშიაც არ მომივა, რომ ამ სასამართლოს მაღალ-ღირსოვანი და უფრო მაღალ-ხარისხოვანი წევრები ბლომათ ეყოლება. ღვთის მადლით, არც ადვოკატებში იქნება ნაკლულეგანება, მარტო ქუთაისელი ადვოკატები შვიდ მაგისტანა სასამართლოს აუვლენ.”<sup>18</sup> თავის ნაწერებში ნ. ნიკოლაძე სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ დანაშაულის მიზეზები ცხოვრების ეკონომიკურმა პირობებმა მოიტანეს და ამას ადასტურებს ქუთაისელ თავადაზნაურთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მაგალითით. ის აღნიშნავს, რომ ქუთაისის თავადაზნაურობამ მრუდე საქმეს ხელი მიჰყო საარსებო საშუალებათა არქონის გამო. პუბლიცისტი

<sup>14</sup> გაზეთი “დროება”, 1874 წ., № 419, გვ. 2.

<sup>15</sup> ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტომი IV, გამომც. “საბჭოთა საქართველო”, 1964, გვ. 250.

<sup>16</sup> გაზეთი “დროება”, 1871 წ., № 43, გვ. 1.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> ნიკოლაძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

კატეგორიული წინააღმდეგია იმ აზრის, რომ დანაშაულთა ასეთი მომატება ახალი სასამართლო რეფორმის სიმკაცრის გამო ხდება. ასეთი მდგომარეობის გამოსწორებას ის ქუთაისელ თავადაზნაურთა შრომით დასაქმებაში ხედავს, რაც მნიშვნელოვან წილად დანაშაულსაც შეამცირებდა.

1893 წ. საქართველოში ახალი სასამართლო რეფორმის შემოღების 25 წლისთავის აღსანიშნავად ქუთაისის მოურავს ლოლუას, ქალაქის მკვიდრთა სახელით სამადლობელი წერილი გაუგზავნია დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი: “შესანიშნავსა დღესა ამას, ოდეს შესრულდა 25 წელიწადი იმპერატორის ალექსანდრე II ახალ სამართლის შემოღების დღითგან კავკასიაში მკვიდრნი ქუთაისისანი, აღძრულნი მადლობითა თქვენის იმპერატორებითის უმაღლესობის მიმართ ზრუნვითა თქვენთათვის დიდებულის რეფორმისა ჩვენსა ქვეყანას ზედაცა მოღებისა გამო, გიცხადებენ უღმესსა, უგულწრფელსა, უსაზღვროსა მადლობასა და გრძნობასა ერთგულობისასა.”<sup>19</sup>

მისანიშნებელია, რომ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში, “იმ პირობებში, როცა სასამართლო პროცესის მონაწილეებს, ერთი მხრივ, მოსამართლეებს და მეორე მხრივ, ბრალდებულებსა და მოწმეებს ენისა და ხალხის ზნე-ჩვეულების უცოდინარობის გამო ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ, უდავოდ დადებითი როლი უნდა შეესრულებინა სამართლის წარმოებაში ადგილობრივი მოსახლეობის წრიდან არჩეულ ნაფიც მსაჯულებს.”<sup>20</sup>

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოუღებლობაზე თავისი კრიტიკული აზრი თავად-აზნაურთა უმრავლესობამაც გამოთქვა. 1898 წ. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ საგუბერნიო კრებაზე გადაწყვიტა “სთხოვოს უმაღლეს მთავრობას, რომ მიანიჭოს ქუთაისის გუბერნიას სისხლის სამართალში ჰყავდეს ამორჩეულნი კაცნი – ნაფიცნი მოსამართლენი,”<sup>21</sup> რომლებიც ადგილობრივი განათლებული პირები იქნებოდნენ და კარგად ეცოდინებოდათ ხალხის თავისებურებანი და ყოფაცხოვრება. რუსეთის მთავრობა ასეთი მოხელეთა დაწესებულების შეუქმნელობას თითქოს იმით ხსნიდა, რომ “კავკასიის აქეთა მხარე” დასახლებული იყო ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი სხვადასხვა ხალხებისაგან. ქუთაისელ თავადაზნაურებს ამ მტკიცების საწინააღმდეგო თავისი არგუმენტები მოჰყავთ: “რატომ არ ავნო ამგვარმა სამართალმა ბესარაბიის გუბერნიაში მცხოვრებთ ერთა, სადაც ეს სამართალი შეიტანა მთავრობამ 1869 წელს? ეს გუბერნია არის შედგარი სხვა-და-სხვა ერთაგან (...) მაგრამ ამან საქმეს კი არა ავნო, პირიქით, ჩინებულად შეითვისა ეს იქაურმა ხალხმა და ისრეთივე დიდი ნაყოფი მოუტანა ამ მხარეს, როგორც რუსეთის იმ გუბერნიებში, სადაც მარტო ერთი ტომის ხალხით არიან დასახლებულნი (...) არცერთი ერი არ დაღუპულა იქ, სადაც შეუტანიათ ნაფიცთა მსაჯულთა სამართალი.”<sup>22</sup> წერილის შემდეგ ნაწილში ქუთაისელი საზოგადოება მოაგონებს მთავრობას, რომ სრული აბსურდია იმის მტკიცება თითქოს აქ ხალხი განუვითარებელია, შეუგნებელია, მისდევს სისხლის აღებას, ქურდობას, ავაზაკობას, სხვა დანაშაულს და არ გამოადგებათ ნაფიცთა მსაჯულობა. სწორედ ხალხს უნდა მიენდოს ამგვარი საქმეების განხილვა და ის თვითონ დასჯის დამნაშავეებს. ქართველი ხალხი ყოველთვის იყო გონებითა და ზნეობით განვითარებული, ყოველთვის შეეძლო “შეეწყნარებინა და შეეთვისებინა უმაღლესი და უწმინდესი სამართალი მინამ საქართველო შეუერთდებოდა რუსეთს, მანამდისაც საქართველოში როგორც სხვა ქვეყნებში, დამნაშავეები ეძლეოდნენ სასჯელს, არასოდეს ყოფილა, რომ ქართველობას კარგი თვალთ ეცქირნოს

<sup>19</sup> გაზეთი “ივერია”, 1893 წ., № 43, გვ. 2.

<sup>20</sup> ბენდიანიშვილი ა., დასახლებული ნაშრომი, გვ. 319

<sup>21</sup> გაზეთი “ივერია”, 1899 წ., № 32, გვ. 1.

<sup>22</sup> იქვე.



და სიმულვილი არ გამოეჩინოს ავაზაკობისა, ქურდობისა, მტაცებლობისა, სისხლის აღებისა და სხვა ამგვარი საქმეებისათვის (...).<sup>23</sup> სწორედ ახალი სამართლის შემოღების შემდეგ შეიცვალა ცხოვრება უარესობისაკენ, განსაკუთრებით “უშვერ მოენეთა” – მთარგმნელთა სასამართლოში „მოღვაწეობით“, რომლებმაც არცერთი ენა ნორმალურად არ იცოდნენ და მათი შემწეობით რუსი მოსამართლენი ხშირად “ჰგზავნიან კატორგაში სრულიად მართალთა და ამართლებენ ყოვლითურთ დამნაშავეთა, უბრუნებენ ავაზაკთ უკან, შეწუხებულს და მათგან აკლებულს ხალხს ახალი დანაშაულის და ახალი ბოროტებისათვის.”<sup>24</sup>

ქუთაისელი თავადაზნაურობის წერილი მთელი საზოგადოებისათვის საყოველთაო სენად ქცეულ და სასამართლოებში ფეხმოკიდებულ ცრუ მოწმეობასაც ეხება. ყოველივე ამის გამო, ხალხი აღარ ენდობოდა სამართალს, ხოლო მოსამართლენი მოწმეებს. “რუსული ფიცი” ხალხში უფრო ირონიას, გაქილიკებას და გაკიცხვას იწვევდა, ვიდრე მისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას. ანტონ ფურცელაძე წერდა: “არც მოსამართლენი არიანო ამაში გასამტყუნარნი, რადგან ისინი არ არიან ადგილობრივი საზოგადოების შვილნი, არ იცნობენ არც ერს, არც საზოგადოებას, არც პირთ, რომელნიც ამ საზოგადოებას შეადგენენ და რომელთაც ესენი ასამართლებენ. ამიტომ იძულებულნი არიან ბრმათ დაემონონ მას, რასაც მოხერხებული და გაოსტატებული კაცი წარმოადგენს სასამართლოს წინაშე.”<sup>25</sup>

თავადაზნაურთა აღნიშნულ წერილზე, იმავე წელს, ნაფიცთა ინსტიტუტის შემოღებაზე მხარდამჭერი შეხედულება გამოუქვეყნებია “რუსსკიე ვედომოსტი”-ს: “ამ ჟამად უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, რომელიც ძალიან ხშირად ყოველსავე უფლებასა და უპირატესობას ართმევს ბრალდებულსა და კატორგაში ჰგზავნის, უმეტეს ნაწილად, ისე ადგენს თავისს განაჩენს, რომ თვალთ არა ჰნახავს ხოლმე არც თვით ბრალდებულს, არც მოწმეებს. იგი სჯერდება გამოუცდელ გამომძიებლის მიერ წარმოდგენილ ქაღალდებს, რომელიც დაწესებულია ადგილობრივ პოლიციის და თარჯიმნების სიტყვებზედ (...) ან გაამართლებენ ისეთ ბრალდებულს, რომლის დანაშაულობაც ნაფიც მსაჯულთა არსებობის დროს ყველასათვის აშკარა იქნებოდა, ან გაამტყუნებენ ისეთს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის და რომლის სამართალში მიცემაც – კი შეუძლებელი იქნებოდა. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად ერთად-ერთი გზა – ეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებაა. ასეთისასამართლო რომ არსად არ არსებობდეს, იგი კავკასიისათვის უნდა გამოეგონათ. სწორედ აქ არის არამცთუ სასარგებლო, არამედ საჭირო, შემოღებულ იქნას ეს სასამართლო იქ, სადაც სასამართლომ უნდა განიხილოს საქმეები სხვა-და-სხვა ტომის, სხვა-და-სხვა ენის და კულტურის ხალხთა. შორიდგან მოსულ მოსამართლე რუსებს არ შეუძლიათ ასეთ პირობებში კეთილ-სინდისიერად წარუძღვნენ მართლ-მსაჯულებას.”<sup>26</sup> ქუთაისელ თავადაზნაურთა წერილის მსგავსი მოთხოვნა ნაფიც მსაჯულთა შემოღების შესახებ შეუდგენია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობასაც, მაგრამ პროგრესული ინტელიგენციის საქმიანობას სასამართლოსა და მართლმსაჯულების გაუმჯობესების სფეროში არავითარი წარმატება არ მოჰყოლია.

უნდა ითქვას, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს, დაარსებიდან თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე, საკუთარი შენობა არ გააჩნდა, პროცესები რამდენიმე წლით ნაქირავებ სხვადასხვა

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> გაზეთი “ივერია”, 1899 წ., № 226, გვ. 3.

შენობებში ტარდებოდა. ქუთაისის მკვიდრი, ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის უანგარო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ახლო მეგობარი ქუთაისის უერთიერთნდობის კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე, პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი ამასთან დაკავშირებით იგონებდა: "ბულვარის პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ ქუჩის პირას დგას ერთი დიდი ორეტაჟიანი ქვითკირის სახლი. სახლი ეკუთვნოდა სტეფანე აკოფოვს. რა არ უნახამს და რა არ უსმენია ამ ზალის კედლებს. რამოდენი ხალხით, რამოდენი ცოდვით და მადლით ყოფილა ხოლმე ამსებული ეს თეთრი ზალა შვიდი თუ რვა წლის განმავლობაში აქ ამ ზალაში იყო ჩამოკიდებული მსაჯულების სასწორი, რომელზედაც ბევრი კაცის ბედი აწონილა და გადაწყვეტილა. რამდენჯერ ფიცი მიღებულია და რამდენჯერ იმ ფიცით სიცრუე თქმულა. რა ბაასი პროკურორს და ადვოკატებს შორის აქ არ გამართულა, რამდენი საწყალი ადვოკატებისაგან აქ არ მოტყუებულა, რამდენი გამდიდრებულა აქ ამ ზალაში ფულითა, მამულითა, მთითა, ბართა, ტყითა, წყლითა და რამდენს ამ სასწორზედ მოპოვებული სიმდიდრე პალატის შესასვლელ კარებთან დაუკარგია და იქიდგან უფრო საწყალი დაბრუნებულა, ვიდრე უწინ ყოფილა, მანამ სასწორზე შეაგდებდა თავისსა ბედსა (...), აქ გაწაფულა ბევრი ახალგაზრდა და ბებერი ადვოკატი. აქ სმენილა განთქმული იურისტების ბაასი, რომელსაც უმტკიციათ ზოგჯერ, რომ რიონი აღმა მიდისო."<sup>27</sup> როდესაც სამსაჯულო აკოფოვის სახლიდან ბალახვანში, წერეთლების სახლში გადაუტანიათ, შიშით იმ ოთახებში პატრონი არ შედიოდა, აქ ღვთის ფიცის მრავალჯერ გატეხის გამო. ბოლოს ჭერი და კედლები გაათეთრებინა, დაასუფთავა და "აკურთხებინა მღვდელს გასადევნად მისგან ბოროტი სულისა."<sup>28</sup>

ქუთაისელი საზოგადო მოღვაწე, ივანე პურადაშვილი თავის მოგონებებში წერს: "1868 წელი. ამ წლის თებერვლის 19-ს მოხდა ქუთაისის ღუბერნიაში სუდის რეფორმა 1864 წელს ნოემბრის 20-ს შედგენილის "უსტავით." დებულებით დაწესდა "მიროვოი" სუდიები და ოკრუჟნოი სუდი. პრედსედატელათ სუდისა დაინიშნა ყოფილი ძველი ღუბერნსკის სუდში პრედსედატელათ სტატსკი სოვეტნიკი ნიკოლაი ლაზარიჩი ყაითმაზოვი, ქუთაისის ქალაქის მიროვოი სუდით კნიაზი რაფიელ დავითის ძე ერისთავი."<sup>29</sup> ქუთაისის საოლქო სამსჯავროს თავმჯდომარედ დანიშნული ეს ის ყაითმაზოვია, რომელსაც ნიკო ნიკოლაძესთან მოუვიდა უთანხმოება. ქართველი პუბლიცისტი დროდადრო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე აქვეყნებდა თავის შეხედულებებს ახალ სასამართლო დაწესებულებათა შესახებ. ამხელდა იქ მოკალათებულ ჩინოვნიკ მოხელეთა უვარგისობას დაკისრებული საქმის მიმართ. სწორედ ასეთმა კრიტიკის ქარცეცხლში გატარებამ წარმოშვა უთანხმოება ამ ორ პიროვნებას შორის. ნიკო ნიკოლაძე ასე მიმართავს სასამართლოს თავმჯდომარეს: "(...) საოლქო სასამართლო მაშინაც მშვენივრად იარსებებს ქუთაისში, როცა თქვენ ჯერ არქივში გადაგიძახებენ, შემდეგ კი სამარეში. მე შემიძლია თქვენ თავს დაგესხათ და ამით არა თუ ძირს არ გამოუთხრი სასამართლოსადმი პატივისცემას და ნდობას, არამედ ხელს შეუწყობ დროებით შერყეული ნდობის აღდგენას, რაც გამოიწვია სასამართლოს უღირსმა მოხელეებმა."<sup>30</sup> ნ. ნიკოლაძე თავის პუბლიკაციებში აღწერდა სასამართლოთა მდგომარეობას საქართველოში და კერძოდ, ქუთაისში. თუ ადრე სასამართლო თვითონ აგროვებდა ცნობებს საქმეზე გადაწყვეტილების

<sup>27</sup> ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, პავლე თუმანიშვილის პირადი არქივიდან ხელნაწერი საბუთი № 5260/14, გვ.1-2.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. ხელნაწერი წიგნი №595. ივ. პურადაშვილი, მოგონებები, გვ. 17.

<sup>30</sup> ნიკოლაძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 319.

შესადგენად, რეფორმის შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეტანათ სასამართლოში თავიანთი მონაცემები, რომლებიც სადავო საკითხის საბუთებად ითვლებოდა და მსაჯულებიც ამ საბუთთა რაოდენობის მიხედვით ადგენდნენ საქმეზე გადაწყვეტილებას, მათი აზრის უფრო საფუძვლიანად გასაგებად ზედმეტადაც ითვლებოდა შეკითხვების მიცემა მხარეებისათვის, სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო, საქმის გადაწყვეტის პროცესუალურ ფუნქციას ასრულებდა, მართალია, დამოუკიდებლად, მაგრამ იქ მომუშავე მოხელეთა მიერ საქმე ხშირად კურიოზებამდეც კი მიდიოდა. “დაიჯერებთ თუ არა, რომ ქალაქ ქუთაისში ერთერთი მომრიგებელი მოსამართლის თარჯიმანი სახალხოდ ერთ მომჩივანს სთხოვდა უარი ეთქვა სარჩელის ნაწილზე, იმიტომ, რომ არ შეეძლო მოსამართლისათვის ეთარგმნა მთხოვნელის სიტყვები: “იმან ჩემი ღორი გოჭებიანად გაირეკაო.” რაკი არ იცოდა სიტყვა “გოჭი”, თარჯიმანმა საზოგადოების თანდასწრებით, მოსამართლეს წინაშე მთხოვნელს ქართულად უთხრა: “მარტო ღორზე ითხოვე, გოჭების საფასურს მე თვითონ გადავიხდით” და როცა მომჩივანი მაინც განაგრძობდა მიმართვას მოსამართლისადმი, მაშინ საბრალო თარჯიმანმა ძალ-ღონე მოიკრიფა და უთარგმნა: “ему взял свинья с сыновьями.”<sup>31</sup> ასეთი აქტები კი ერთეულები არ იყო არა მარტო ქუთაისის ცხოვრებაში, არამედ სხვაგანაც.

საოლქო სასამართლოში საქმეების განხილვას, ხან თვეობით, ზოგჯერ კი წლობით ჭიანჭურდებოდა. ქუთაისის სამსაჯულოში განცხადების შეტანის შემდეგ, მისი მოხელეები ვადად 3-4 თვეს ნიშნავდნენ, უფრო მეტი დრო მოწმეების გამოძახებას და დაკითხვას მიჰქონდა და ერთი საქმის დაწყებიდან წელიწადიც გაივლიდა. ხოლო ამ დროში საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა ბედნიერ შემთხვევად ითვლებოდა. “ვთქვით წაგართვა ვინმემ შენი საკუთრება. იცი ვინც არის ეს წამრთმევი, საბუთები ხელში გიჭირავს, რომლითაც შეგიძლია დაუმტკიცო, რომ წართმეული საგანი შენია და უფლებების ნება შენს მტერს არას გზით არ შეუძენია და ვთქვით შენ სასამართლოში უჩივლე და შენსას ითხოვ. რა აზრი უნდა შეადგინო შენ იმ სამართალზე, რომელიც ჯერ რამდენიმე თვეს ერთს ინსტანციაზე შეგაჩერებს, მერე მეორეზე, მესამეზე და ერთის, ორის წლის შემდეგ გეტყვის: შენი ყოფილა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს წაიღეო.”<sup>32</sup> საქმეების დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, თავის მოგონებებში ივანე პურადაშვილს ერთი ეპიზოდი მოჰყავს ქუთაისის საოლქო სასამართლოს ისტორიიდან: ქუთაისში, ქალაქის ცენტრში, გ. ბარამოვსა და ლ. ქორქაშვილს მთავრობის ორგანოებისაგან ნებართვით გახსნილი ჰქონიათ პატარა დაწესებულება – ლომბარდი ანუ “გამსესხებელი სალარო”, რომელიც ერთგვარ ფინანსურ დახმარებას უწევდა ქალაქის მცხოვრებლებს. მალე გ. ბარამოვი გარდაცვლილა და მხოლოდ ლ. ქორქაშვილის ხელმძღვანელობით ცოტა ხანს უმუშავნია ამ დაწესებულებას, ბოლოს კი, საბოლოო ლიკვიდაციით დახურულა, რის შემდეგაც დაწყებულა დავა-ძიება ბარამოვის მემკვიდრეებსა და ქორქაშვილს შორის სალაროს თანხებთან დაკავშირებით. საქმე ქუთაისის საოლქოს სასამართლოსათვის გადაუციათ განსახილველად და აწარმოებდა მას საოლქო სამსაჯულოს წევრი ალ. ფიფინაშვილი. არაერთი სხდომა მოუწვევია სასამართლოს, მაგრამ საქმე მაინც ვერ გაურკვევია. შემდეგ დაუნიშნავთ ექსპერტიზა სადაც, “მე ვიყავი, - წერს ივ. პურადაშვილი, მიწვეული ექსპერტად, როგორც ბუხჰალტერი, უნდა შეგვემოწმებინა ლომბარდის მუშაობა და ლიკვიდაციის მსვლელობა. ბარანოვის მემკვიდრეები დიდ თანხას ედავებოდნენ ქორქაშვილს. საბუთების გარჩევას დიდი დრო მოვანდომეთ, ვიკრიბებოდით, როცა ფიფინაშვილი იშოვიდა დროს. ქორქაშვილიც უეცრად გარდაიცვალა და საქმე შეჩერდა. შემდეგ ძიება

<sup>31</sup> ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტომი II, “საბჭოთა საქართველო”, 1960, გვ. 541-542.

<sup>32</sup> გაზეთი “დროება”, 1893 წ., № 51, გვ. 1-2.

განახლდა ქორქაშვილის მემკვიდრეების მიმართ, მუშაობა ხელახლავ დავიწყეთ და გარდაიცვალა ბარამოვის ქვრივიცა და ისევ შეჩერდა საქმე და ამის შემდეგ აღარ განახლებულა. ეს კვლევა გრძელდებოდა რამოდენიმე წელიწადი და საქმეს ბოლო არ მიეცა. ასეთი მაგალითები უამრავი იყო, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხებოდა მიწის მფლობელობას, მაგალითად ხაზინასა და გლეხებს შორის, თუმცა მეფის დროს სასამართლოს ეწოდებოდა “სასამართლო სწრაფი და სამართლიანი.”<sup>33</sup>

ქუთაისის ოლქის სასამართლო, სისხლის, სამოქალაქო, საკასაციო საქმეთა განყოფილებების გარდა შედგებოდა გამიჯვნის საქმეთა განყოფილებისაგან, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა და თითქმის ვერცერთ საქმეს ვერ გადაწყვეტდა ქუთაისის გუბერნიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველოს მონაწილეობის გარეშე, რასაც საარქივო მასალებიც ადასტურებენ. ოლქის სასამართლოს სამიჯნავო ნაწილი უწყების სახით შეტყობინებას უგზავნიდა ხოლმე გუბერნიის დასახელებულ სამმართველოს სასამართლო პროცესზე გამოსაცხადებლად. გამიჯვნის განყოფილების მიერ განსახილველად დაწყებული და დამთავრებული ყველა საქმე, იშვიათის გამონაკლისით, თბილისის სასამართლო პალატას გადაეცემოდა საკასაციო წესით, სადაც ზოგჯერ თვით მოდავე მხარეები ჯარიმდებოდნენ ფულადი გადასახადით 20, 50, 60 კაპიკის ფარგლებში. ასე მომხდარა ქუთაისის გუბერნიაში ცნობილი სააგარაკო ადგილების – მუხაყრუას (ნაწილებით: “გომის ქალა”, “ბამბის ადგილი”) გამიჯვნის დროს. მოდავე მხარეებს წარმოადგენდა, როგორც ხაზინა, ისე მიწისმფლობელი აზნაურები და გლეხები მელიტონ ტარიელის ძე და ევატერინე მაქსიმეს ასული ყენიები, დიომიდე და ზოსიმე გიორგის ძე ცაცუები, გიორგი ელიზბარის ძე, კონსტანტინე ეგნატეს ძე, პლატონ, გედევან და ალექსანდრე ზურაბის ძე ბერეკაშვილები, ივანე მიქელაძე და სხვები. მოდავე მხარეებს გამიჯვნის განყოფილებისაგან შემდეგი შინაარსის შეტყობინება მიუღიათ ქართულ-რუსულად დაბეჭდილი: “ეცნობების, რომ სხდომა ქუთაისის ოლქის სამსაჯულოსა გასარჩევლათ დავებისა შემდგარი გამიჯვნის დროს ნაკვეთებთა მამულებისა “მუხაყრუა” – არის დანიშნული სექტემბრისთვისას 1896 წელსა დღით 2 საათზედ, ამიტომ უნდა გამოცხადდეთ დანიშნულს დროზე სამსაჯულოს სხდომაში თვით ანუ ვექილის გამოგზავნით, ყოვლის საბუთებით და დამტკიცებებით, ეგრეთვე, თარგმანით და პირებით მათგან (მუხლი 61. წესდებულება გამიჯვნისა კავკასიის აქეთა მხრისა). წინააღმდეგ შემთხვევაში დავა იქნების დაბოლავებული თქვენთა დაუსწრებლადაც, ქონებულის სახეში დამტკიცებულის ძალითა (მუხლი 63. წესდებულების გამიჯვნისა კავკასიის აქეთა მხრისა).<sup>34</sup> ყველა მათგანს სააგარაკო ადგილები გამიჯვნის განყოფილებამ მხოლოდ წარმოდგენილი, დამამტკიცებელი საბუთების მიხედვით განუსაზღვრა. მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა საკასაციო წესით ზემდგომ სასამართლო პალატას მიმართა, რომელიც “საქმეს წყვეტს სრულიად დაუსწრებლად, მხოლოდ საქმის წარმოების წერილობითი მასალების მიხედვით და მოსამართლე გადაჭრით დამოკიდებულია სასწრაფოდ და ღმერთმა უწყის როგორ შესრულებულ ჩვენებათა და განცხადებათა მკვდარ ჩანაწერებზე (...) საოლქო სასამართლო ხშირად იძულებულია გაამართლოს მეტად საეჭვო ბრალდებები, ხოლო სასამართლო პალატა არაიშვიათად იძულებულია გააუქმოს საოლქო სასამართლოების განაჩენები.”<sup>35</sup>

<sup>33</sup> ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. ხელნაწერი წიგნი №595. ივ. პურადაშვილი, მოგონებები, გვ. 103.

<sup>34</sup> იხ. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 18, საქმე 2373, ფურცელი 89.

<sup>35</sup> იხ. ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტომი IV, “საბჭოთა საქართველო”, 1964, გვ. 12.

საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების – გამიჯვნის შესასრულებლად სასამართლოს მოხელეთა მთელი შტატი მონაწილეობდა, რომელთა შორის უმთავრესი “ზემლემერი” იყო. რუსული კანონები გამიჯვნის საზღვრების შესრულების დროს შემდეგ პროცედურებს ითვალისწინებდა: როდესაც საოლქო სამსაჯულო აცნობებდა მოდავე მხარეებს, “ზემლემერი” შეუდგება რა ამ და ამ წლის თვესა, საათზე გამიჯვნას, მოგიწევს, თქვენ გამოცხადდეთ დანიშნულ რიცხვს დილის 10 საათზე და წარმოადგინოთ მომუშავე კაცები ცულდებითა და რკინის ნიჩბებით ანუ ბარებით, ქვით და ნახშირით, აგრეთვე მასალა სამზღვარზედ მიჯნების ჩასაყრელად.”<sup>36</sup> ამასთან ერთად, “ზემლემერი” მხარეებს შეახსენებდა რუსული კანონმდებლობით გამიჯვნის შესახებ დადგენილ ნორმებს “კავკასიის აქეთა მხარეში.” “23-ე სტატიით”, თუ დათქმულ დროს არ მოხდებოდა მუშების გამოგზავნა, მაშინ მათ დაიქირავებდნენ დამნაშავეთა ხარჯზე და ამ უკანასკნელთ “გარადახდებათ მუშების ქირა და დაწესებული 56 მუხლის ძალით ჯარიმა 1 მანეთიდან 50 მანეთამდე.”<sup>37</sup>

საოლქო სასამართლოში ბევრი საჩივარი შედიოდა თვით “ზემლემერთა” უკანონო, უსამართლო ქმედებათა გამო. აღნიშნული საქმეებში უამრავი საბუთი მოიპოვება ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოხელეთა და ქუთაისის გუბერნიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველოს შორის მიერ-მოწერის სახით, თბილისის სასამართლო პალატისადმი მიწერილი საკასაციო საჩივრებით, საპროცესო დაწესებულებაში გამოსაცხადებლად შედგენილი შეტყობინებებით, უშუალოდ საოლქო სამსჯავროში განხილული სამიჯნავო დავების ოქმებით და სხვა.

XIX ს. 70-იან წლებში ქუთაისში საქმიანობდა გამომძიებელი ხოსროვეი, რომელსაც არაერთი საქმე გადაუცია სასამართლოსათვის თავისი დასკვნით და “ჭემმარიტების კრიტერიუმების სრული დაცვით.” ამავე დროს კი, თურმე, თავად წარმოადგენდა დამნაშავეს მის მიერ დიდი რაოდენობით აღებული ქრთამის გამო. გამომძიებელი ხოსროვეი დაუპატიმრებიათ და ქუთაისის ოლქის სასამართლოს მისთვის “გაციმბირება” შეუფარდებია. საოლქო სასამართლოში ასევე დამნაშავეს სკამზე აღმოჩენილა ქუთაისში ცნობილი პოლიციის მოხელე ვიქტორ ახვლედიანი. როგორც გაზეთი „ივერია“ წერდა: “როგორც ერთი რუსული ანდაზა ამბობს, სხვისი ორმოს მთხრელი შიგ თვითონ შთავარდებოა. ეს რუსული ანდაზა ზედ გამოჭრილი და გამოკუთხედებულია ვ. ახვლედიანის

<sup>36</sup> იხ., ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 18, საქმე 2334, ფურცელი 2.

<sup>37</sup> იხ., ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 18, საქმე 2334, ფურცელი 3. აქვე გათვალისწინებულია სხვა პროცედურებიც; “თუ ზემლემერს მისვლის დროს მიჯნაზე არ დაესწრებია არც თვითონ მამულის პატრონი და არც იმისი ვეკილი სამზღვრების საჩვენებლად, მაშინ სამზღვრებს უჩვენებს მოურავები ან მოხელეები ან გლეხებითგან აღმორჩეულნი კაცები და თუ ესენიც არ გამოცხადდებიან, მაშინ სამზღვრები უნდა უჩვენონ მამულების მომიჯნავეებმა (მუხლი 62); თუ ვინმე შემდეგ მიღებისა ანუ შემდეგ ზემლემერის მოსვლისა მის მამულის საზღვარზე არ გამოაცხადებს, რომ მამული იმას ეკუთვნის, მაშინ იმას აღარ აქვს ნება ითხოვოს შემდგომში არც მამულის ხელ-ახლა გამიჯვნა და არც დაბრუნება, თუ ეს მამული გამიჯვნაში დარჩა სხვებსა, რომლებთანაც თავის დროზე გამოაცხადეს ამაზე თავისი პატრონობა (მუხლი 64); უწყება უნდა ჩაბარდეს დაბარებულ მემამულეს, უკეთუ იგი არ იპოვებოდეს შინ, მაშინ მის მოურავს, სოფლის მამასახლისს ანუ ამორჩეულს პირს (მუხლი 68); თუ უწყების მიმღები უარს იტყვის უწყების მიღებაზე, ან ხელის მოწერაზედ, და თუ იმ ადგილს, სადაც დაბარებული ცხოვრობს, უწყების მისაღებად არ აღმოჩნდებიან პირნი, რომლენიც არიან მოხსენიებულნი 68-ე სტატიაში, მაშინ უწყება უნდა მიეკრას რომელიმე საჩინო ალაგას, ორის ან მეტის მოწმეების დასწრებით, რომელთა სახელები უნდა ჩაიწეროს მეორე უწყებაში. კაცი, რომელსაც არ უნდა უწყების მიღება და იმიტომ იმალება და ხელს არ აწერს, აგრეთვე, მოწმეები, რომელნიც არ ისურვებენ დაესწრონ უწყების ჩაბარების ანუ დატოვების დროს – იმ პირთ გადახდებათ ჯარიმა ფულით ერთი მანეთიდან ათ მანეთამდე.

განსამართლებლად.”<sup>38</sup> ვ. ახვლედიანს გადაუწყვეტია ერთი შეძლებული რაჭველი გლეხის ა.ჯოხაძის კატორღაში გაგზავნა, მაგრამ გამომძიების შემდეგ ქუთაისის ოლქის სასამართლოს ახვლედიანის მიერ შეთხზული საქმე ამოულია წარმოებიდან დამამტკიცებელ საბუთთა არქონის გამო. ამის შემდეგ, ვ. ახვლედიანს ა. ჯოხაძის მეუღლეზე შეუტანია სასამართლოში ოქმი, ოლქის სამსჯავროს დაფინანსება გაუმართლებია. ბოლოს ვ. ახვლედიანს დაატყდა თავზე ის დანაშაული, რაც მას ცოლ-ქმარ ჯოხაძეებისათვის უნდოდა და რომელსაც სამსახურში დაწინაურების სურვილი ერთობ გასჯდომოდა ძვალსა და რბილში. უწინ ახვლედიანს პოლიციაში მცირე სამსახურის ადგილი ეჭირა, შემდეგ აბაზიანებმა ქალაქის პოლიციელობა მიაღებინა და ეხლა ყალბის სამ მანეთიანებით პოლიციის ბოქაულობა უნდოდა გაეკრა. მაგრამ ჯოხაძეებს არ დაუმტკიცდათ ყალბი ფულის შენახვა. სასამართლოზე ცხადი გახდა, რომ თვითონ პოლიციელს ჰქონია სადღაც შეძენილი ყალბი სამ მანეთიანები, გაუვრცელებია ხალხში და შემდეგ ჯოხაძეებისათვის დაუბრალებია მათი გასაღება.”<sup>39</sup> საოლქო სასამართლოს ახვლედიანისთვის “გადაუწყვეტია ყოველის ღირსების ახდა და ექვსი წლის ვადით კატორღაში გაგზავნა.”<sup>40</sup> პრაქტიკაში ბევრი ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როდესაც სრულიად უდანაშაულო ადამიანი დაუსჯიათ. ასეთი დაუმსახურებელი სასჯელი მიუღია ქუთაისში XIX ს. მეორე ნახევარში ცნობილ პიროვნებას დიდ მემამულესა და “სოვდაგარს” ივანე ზურაბის ძე გველე-სიანს. მას რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს შეუძენია დიდძალი ფული და ქუთაისში უყიდია ტერ-ლუკასოვის მამულები, რომელიც მდებარეობდა ქუთაისის საუკეთესო ადგილას, ცენტრში “ბულვარის” გვერდში. სწორედ გველესიანის ამ შესანიშნავი მდებარეობით ცნობილ მამულში ყოფილა მოთავსებული გუბერნიის სამმართველო, ხაზინა, სასამართლო და უამრავი სავაჭრო დუქანი. 1886 წ. ზაფხულში სასამართლოს ცეცხლი გაუჩნდა და ნაწილი დაიწვა. საქმე გამოსადიებლად გადაუციათ გამომძიებელ ლინევიჩისათვის. სხვადასხვა ვარაუდთა შორის სასამართლოსათვის ცეცხლის გაჩენის შესახებ, წარმოიშვა თვით გველესიანის მონაწილეობის ვერსია ამ საქმეში, რაც ყოვლად შეუძლებელი და გამორიცხული იყო. შესაძლო იქნებოდა, რომ ეს ვინმე დამნაშავეს ჩაედინა, რომლის საქმეც სამსჯავროში იყო და გასამართლებას მოელოდა. გამომძიებელ ლინევიჩს დაუბარებია დაკითხვაზე გველესიანი, რომელმაც “რუსული არ იცოდა, თუმცა გლახა გაუგებარი რუსულის ლაპარაკით არ თაკილობდა. გამომძიებელი მას ეუბნება “вы подождли дом?” გველესიანი განცვიფრებული ეკითხება: “я поджог, я поджог”. ლინევიჩისათვის ეს საკმარისი აღმოჩნდა და შეიტანა ოქმში, რომ გველესიანი გამოტყდა, თავი დანაშაულად იცნოვო. გველესიანს კი ალბათ, აზრად ჰქონდა ეთქვა, განა მე დავეწვიო.”<sup>41</sup> გამომძიებელმა ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, დაწერა მისი დაკავებისა და სატუსაღოში გადაგზავნის დადგენილება. შეწუხებული ახლობლები მივიდნენ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესთან ყაითმაზოვთან, აუხსნეს საქმის ვითარება და სთხოვეს რომ პატიმარი გაეთავისუფლებინათ მეთვალყურეობის ქვეშ, რაზეც თავმჯდომარე დათანხმდა და შემდეგ გამომძიებლისადმი მიწერილ წერილზე ყაითმაზოვმა ასეთი პასუხი მიიღო, რომ ეს, მისი, გამომძიებლის უფლებას შეადგენს და ნურავინ ნუ ერევა საქმეშიო “შეიძლება იგი ელოდა გველესიანისაგან, როგორც შეძლებული ადამიანისაგან კარგს საჩუქარს, მაგრამ

<sup>38</sup> გაზეთი “ივერია”, 1898 წ., № 26, გვ. 3.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. ხელნაწერი წიგნი №595. ივ. პურადაშვილი, მოგონებები, გვ. 206.

მოსტყუვდა.”<sup>42</sup> ფულების მოყვარული რუსი გამომძიებლის დადგენილება გაასაჩივრეს სასამართლო პალატაში თბილისში “იქიდან მოვიდა ბრძანება, რომ გველესიანი გაეთავისუფლებინათ თავდების ქვეშ, მაგრამ მაინც კარგა ხანს იჯდა იგი სატუსალოში. ბოლოს 1887 წ. იანვარში ქუთაისის საოლქო სამსაჯულოს განუხილავს საბრალდებო დასკვნა გამომძიებელ ლინევიჩისა და გველესიანი სრულიად გაუთავისუფლებია, მაგრამ რამდენიმე თვის სასჯელი მაინც შერჩა უდანაშაულო “სოვდაგარს.”<sup>43</sup>

სასამართლოს წინაშე დამნაშავის მხილების მოვალეობა, ბრალდებისათვის მხარის დაჭერა დაკისრებული ჰქონია პროკურორს. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორებს ჰყავდათ თანაშემწეები, რომლებსაც პროკურორის ამხანაგები ეწოდებოდათ. ისინი, როგორც რუსეთის მთავრობის ინტერესების დამცველნი აქტიურ გავლენას ახდენდნენ საოლქო სასამართლოზე. ქუთაისის ოლქის სამსჯავროს პროკურორი ყოველთვიურ ანგარიშს აბარებდა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს მთლიანად ოლქში საქმის წარმოების შესახებ, ხოლო ეს უკანასკნელი საერთო მეთვალყურეობას უწევდა საგუბერნიო სასამართლოთა საქმიანობაზე, კანონთა შესრულებაზე, საგამოძიებო საქმეთა დროულად წარმართვაზე.<sup>44</sup> ქუთაისის სამსჯავროში ისეთ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც პროკურორი ბრალდებულს იცავდა მისი საკუთარი ჩვენებების საწინააღმდეგოდ და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მას გადაჭრით არ შეეძლო ჩაედინა და არც ჩაუდენია ის დანაშაული, ხოლო ბრალდებულის დამცველი კი პირიქით, პროცესზე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბრალდებულს არა თუ არ შეეძლო, არამედ სწორედ მან ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ეს ცნობილი საქმე “დუბროვის ცოლის საქმის” სახელწოდებითაა ცნობილი “აი, კონტრასტი! – წერდა ნიკო ნიკოლაძე ამ გახმაურებულ საქმეზე, - ასეთი შემთხვევები და მეტამორფოზები მხოლოდ კავკასიაშია შესაძლებელი.”<sup>45</sup>

ამ პერიოდის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განაჩენებში ვხვდებით ისეთი შინაარსის ტერმინს, როგორიცაა “ღირსების ახდა” ან “დაპატიმრება ღირსებათა ჩამოურთმევლად”, რაც ვარაუდით, პიროვნებისათვის რაიმე სამხედრო ან საპოლიციო ჩინის ჩამორთმევას, გადაყენებას ნიშნავდა და უფრო ხშირად სწორედ ისეთ საქმეებში გვხვდება, რომლებიც “საზოგადოების მაღალი რანგის პირთა ნამოქმედარს” შეეხება. 1904 წელს საოლქო სასამართლოს განუხილავს თავად დავით მიქელაძის საქმე, რომელსაც “ზოქაულ მახარადის წინააღმდეგ მიმართული ქმედებით ბრალად ედებოდა შეურაცხყოფა. ამ საქმის ოთჯერ განხილვის შემდეგ, სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც თავადი დავით მიქელაძე დამნაშავედ იქნა ცნობილი და მიესაჯა ორის თვით ციხეში დაპატიმრება ღირსებითა ჩამოურთმევლად.”<sup>46</sup> თუ XIX ს. 60-იან წლების სასამართლო რეფორმამდე სასამართლოს სხდომები დახურულ “კარებში” მიმდინარეობდა და ხალხმა არ იცოდა სასამართლო სხდომის დარბაზში რა ხდებოდა, რეფორმის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. პროცესები საჯაროდ იმართებოდა და მის მსვლელობას პრესაც აშუქებდა. ქუთაისში, “ბულვარში” შეიქმნებოდა ხოლმე

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 111, საქმე 3, ფურცელი 2. ამავე დოკუმენტით ცხადი ხდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი (გვარი გაურკვეველია, არ იკითხება), ყველა განყოფილების გამოძიებლებს ავალებს სასწრაფოდ საქმეთა გაგრძელებას. ასევე თავის ამხანაგებს მაზრების მიხედვით უბრძანებს დროდადრო მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს სხვადასხვა განყოფილების სხდომებში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთა განხილვაში.

<sup>45</sup> ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტომი II, “საბჭოთა საქართველო”, 1960, გვ. 534.

<sup>46</sup> გაზეთი “ივერია”, 1904 წ., № 255, გვ. 2.

მტყუნ-მართლის” გარჩევა საოლქო სასამართლოს სხდომის შემდეგ დამსწრე ცნობისმოყვარეთა შორის “სწორედ რაღაც ნათესავი უნდა იყოს პარიჟისა ეს ჩვენი ქუთაისი! არ დავიჯერებ, რომ ჩვენს სატახტო ქალაქს რაიმე ისტორიული ან პსიხოლოგიური ან მორალური კავშირი არ ჰქონდეს პარიჟთან, - ვკითხულობთ ნიკო ნიკოლაძის კორესპოდენციაში, - თქვენ როგორც გნებავთ, ისე იფიქრეთ, ჩემო ბატონო, და ეს კი ჩემი დარწმუნება გახლავს, გნებავსთ დამტკიცება? კარგი. აქ ზოგჯერ საზოგადოება სწორედ ისეთ ალტაცებულ მდგომარეობაშია, როგორც პარიჟში. როდესაც ქუთაისელი საზოგადოებისათვის რომელიმე საინტერესო საგანი გამოჩნდება, იმ ნაირათვე იკრიბებიან ბულვარზედ, ისეთი გაცხარებული ბაასი და ყაყანი შეიქმნება, იგივე პარტიებად დაყოფა, მასხრობა, გესლიანი ხუმრობა, მჭრელი შენიშვნები და სხვა-სხვა (...) სულ პარიჟულად.”<sup>47</sup> ხშირად სწორედ ასეთ თავყრილობებზე კამათში იმალეობდა ქუთათურთა ხუმრობანარევი ჭეშმარიტებაც. ქალაქის მცხოვრებნი დიდ ინტერესს იჩენდნენ სწორედ მთავარ სამსაჯულოში განხილული საქმეების მიმართ, რომელზედაც დასწრება ხალხის სიმრავლის გამო “ყველაზე მოხერხებულს” თუ შეედლო. “ჩვენის ოლქის სასამართლოს პატარა ზალისათვის საკმაოდ ბევრი ხალხი შეიკრიბებოდა, რომელთა რიცხვთა შორის ნახავდით სხვა-და-სხვა ტომის და რჯულის ხალხს, ორივე სქესისას.”<sup>48</sup> ზოგიერთები შევსებულ დარბაზში კარების დახურვის შემდეგ “პროტექციით”, ნაცნობის ან ნათესავის საშუალებითაც ახერხებდა შეღწევას მეორე შესასვლელით, სადაც ეწერა, რომ “უცხო პირებს ამ ზალაში შესვლა აღეკრძალებათ (...).”<sup>49</sup>

გუბერნიის სამსჯავროს ისტორია იცნობს ისეთი სისხლის სამართლის პროცესსაც, სადაც შესვლა ბილეთების საშუალებით მომხდარა. ეს იყო იმ დროისათვის მთელ საქართველოში თუთბერიძის ქვრივისა და იმისი ორი პატარა შვილის გახმაურებული მკვლელობა. “ქუთაისის მცხოვრებნი დიდის სურვილით ელოდნენ გასამართლების დღესა. წინათვე იცოდნენ, რომ მრავალი მაყურებელი მიაწყდებოდა ოლქის სასამართლოს და ამისათვის გადაწყდა, რომ სასამართლოს ზალაში შესვლა ბილეთებით უნდა ყოფილიყო. სამი, ოთხი დღის წინათ პროცესის დაწყებისა ბილეთები აღარ იშოვებოდა. სასამართლომ გადაუწყვიტა მღვდელს კიკვაძეს, ივანე და იაკინთე თუთბერიძეებს ერთნაირი დასჯა, 20 წელი კატორგაში მუშაობა და შემდეგ ციმბირში გადასახლება.”<sup>50</sup>

დიფამაცია, ანუ ვისიმე სახელის გასატეხი ცნობების, ნამდვილისა თუ მოგონილის შეთხზვა და გამოქვეყნება ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარიყო რუსული სამართლის არსებობის პერიოდში. ასეთი საქმეებიც ყოველთვის სასამართლოს დარბაზში მთავრდებოდა გადაწყვეტილების გამოტანით “ქუთათურები დიდი ხანია მოელოდნენ თებერვლის 19-ს რიცხვს, ამ დღისათვის დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით თავადი და აზნაური სამეგრელოსა და იმერეთისა მოვიდა ქუთაისს, რადგან ამ დღეს – აქაურს ოლქის სასამართლოში უნდა გარჩეულიყო საქმე თავად ბ. მხეიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მოქმედებით შეურაცხყოფა სენაკის მაზრის უფროსისა, ბატონ გ. ბებურიშვილისა.”<sup>51</sup> თითქოს გასაკვირველიც არაფერი იყო იმაში, ამდენი ხალხი რომ ინტერესდებოდა ამ პროცესით იმდენად, რამდენადაც ხალხმრავლობასა და ცნობისმოყვარეობას დიდი ხანია მიჩვეული იყო გუბერნიის სასამართლო, არც ისეთი გახმაურებული ან საინტერესო საქმე განიხილებოდა, მხოლოდ ცნობისმოყვარეობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ბრალდებული 32 წლის ახალგაზრდა ოფიცერი და

<sup>47</sup> გაზეთი “დროება”, 1874 წ., № 408, გვ. 1.

<sup>48</sup> გაზეთი “დროება”, 1880 წ., № 206, გვ. 3.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> გაზეთი “დროება”, 1869 წ., № 117, გვ. 1-2.

<sup>51</sup> გაზეთი “ივერია”, 1893 წ., № 44, გვ. 2.



საპატიო თანამდებობის მქონე – მომრიგებელი შუაკაცი, იყო წარჩინებული თავადი არამარტო სამეგრელოში, არამედ იმერეთშიც, ხოლო მეორე მხარე გ. ბებურიშვილი, ასევე ცნობილი პიროვნება, 28 წელიწადი მაზრის უფროსად ნამუშევარი, მათ შორის 14 წელი სენაკის მაზრაში. საქმის შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ გ. ბებურიშვილს, სენაკის მაზრის უფროსს, ქუთაისის გუბერნატორისათვის 1892 წ. 3 ივლისს მიუერთმევია თავისი მოხსენებითი ბარათი №1840 და რომელიც “შეეხებოდა ერთის კაცის, გვარად მისამიშვილის მკვლელობას და სადაც სხვათა შორის თავად ბ. მხეიძისათვის სათაკილო, საწყენი სიტყვები ჩაურთია.”<sup>52</sup> ბ. მხეიძეს მაზრის უფროსისათვის მის მიმართ ასეთი სახელის გასატეხი ცნობის შეთხზვისათვის “სამაგიერო მიუზღვია” თავში ჯოხის ორჯერ ჩარტყმით და მიწათხრილში გადაგდებით. საოლქო სასამართლოს დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების შემდეგ, თავად ბ. მხეიძისათვის მიუსაჯია მხოლოდ ზოგიერთი “ღირსებათა და უპირატესობათა” ჩამორთმევა და ერთი წლით ციხეში დაპატიმრება.<sup>53</sup>

ქუთაისის გუბერნიის მთავარი სასამართლო, თვითონაც გამხდარა დამნაშავეთა მხრიდან თავდასხმის ობიექტი. 1905 წ. 3 სექტემბრის მოხსენებით ბარათში ქალაქის პოლიციის უფროსი გუბერნატორს წერს, თუ როგორ შეაღწიეს ქურდებმა ღამით სასამართლოს შენობის ერთ ოთახში ფანჯრის მინის ჩამტვრევის გზით და როგორ წაიღეს ნივთიერი მტკიცებულებები.<sup>54</sup> როგორც მივუთითებდით, ქუთაისის გუბერნიის საოლქო სასამართლოს თავისი საკუთარი შენობა დიდხანს არ ჰქონდა, მათ შორის, არცერთ საგუბერნიო დაწესებულებას, თვით გუბერნიის მმართველობასაც კი არ გააჩნდა ბინა. სამსაჯულო უკანასკნელად ყოფილა ხარაზაშვილების შენობაში წითელ ხიდთან. 1895 წ. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ფონ-რეზონს შუამდგომლობა აღუძრავს იუსტიციის სამინისტროს წინაშე, რომ სასამართლოს დაწესებულებებისათვის აეშენებინათ საკუთარი შესაფერისი შენობა გუბერნიის ცენტრში – ქუთაისში, რაზედაც დადებითი პასუხი იქნება მიღებული. დიდი დავის შემდეგ, რომელიც წარმოებდა ქალაქის საბჭოსა და ზოგიერთ გავლენიან პირთა, აგრეთვე, ქალაქის მცხოვრებთა შორის, სასამართლო უწყებას თავისი ბინის მშენებლობისათვის გადაეცა “სამეფო ადგილად” წოდებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც 1898-1900 წლებში სამოქალაქო ინჟინერ ფრიკის პროექტით აშენდა ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს სახელმწიფო სასახლე, რომელიც XIX ს. კლასიკურ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს და რომელშიც დღეისათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ფუნქციონირებს.

---

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №130, საქმე №227, ფურცელი 1 (დედანი).